ახალი ჟურნალისტი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძღვრის გული„

2020 წელი 16 დეკემბერი № 11-12 № 8164

90-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ შობა-ახალ წელს!



გილოცავთ!

ბავშვინებო და ქალბავშვინებო,

გილოცავთ შობა-ახალ წელს! მშვიდობა, წარმავლებები, სიყეთე და სიხარული დაგვბედეთ. ვისურვებდი, რომ ამ ახალ წელს მოეწყინოს ბარბაჯა, მხნეობა, უყეთ გვესწავლოს ერთმანეთის ჰაწვისცემა, თანადგომა.

მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს დავესწროთ თავისუფალ და გამთლიანებულ საქართველოში, რა თქმა უნდა, ჩვენს უსაყვარლეს მინაგარეთან ერთად.

იდღეგრძელეთ, მრავალ-ჟამიერ!

ვახტანგ მაისურაძე,
ქასპის მუნიციპალიტეტის
მერი.

ბავშვინებო და ქალბავშვინებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ბარბაჯას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მხნეობასა და წინსვლას. მშვიდობიანი ახალი წელი დაგვდგომოდეს, დაგილოცავთ ოჯახებს.

ღმერთმა ინებოს ყველა თქვენთაგანის ოჯახში დამყვიდრდეს სიხარული და ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარბაჯა.

უბედნიერესი ახალი წელი გასთენებოდეს ჩვენს მამულს, ჩვენს ოჯახებს!

დავით ლეონიძე,
ქასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე.

თავისუფლება - „მძიმე ტვირთი“

როგორც ადამიანის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაშიც დგება ეტაპი, როდესაც იწყება უცნაური რამ – მორალური, ზნეობრივი და, უბრალოდ, ადამიანური ვითარებები ისეა არეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა გამჩენისათვის აუცილებელი არ იყოს და მას უფლება ჰქონდეს, ეკლექტიზმი ლოგიკად ჩათვალოს და ამის მიხედვით შეიქმნას რეალობა.

იღბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის ვიცოდით (ან იქნებ ვგრძნობდით), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ დღენიადაგ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალურ წარმოდგენათა დაწმენდასა და გარეალურებაზე.

საზოგადო ჭირი ნათლად აჩენდა ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ამასთან, სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა. ყოველივეს ერთობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას, რომლითაც ერიც და ქვეყანაც წინ მიდიოდა.

კიდევ კარგი, რომ მეხსიერება აუცილებლად ინახავს საუკეთესოს.

იმ საბჭოთა დროში, როცა "თავისუფალი არჩევანი" კომუნისტური რეალობის ფონზე ძილს უფრთხობდა იმდროინდელ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა," სამშობლოს გაცხადებული სიყვარული დისიდენტთა "პრეროგატივა" ეგონათ. თუმცა, "არადისიდენტებიც" მაშინვე ვხვდებოდით, რომ დამოუკიდებლობის ფენომენი და დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება უმნიშვნელოვანესია თითოეული ადამიანისთვის.

ნიცშე ამბობდა, რომ თავისუფლება ყველაზე დიდი ტვირთია. თავისუფლება, გარკვეულწილად, ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და, რაც მთავარია, სწორი არჩევანის გაკეთების უნარს გულისხმობს. სწორედ ეს ორი განმსაზღვრელი ფაქტორი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ "მძიმე ტვირთია".

"ვაი, თუ ატყუებ შენს თავს, ვაი, თუ ცრუ რაიმე იმედი გაქვს და მით დაძინებულია შენი სინიდისი. მართალია, ხანდახან მიხვალ ეკლესიაში, რომელიც არის ღვთის სახლი, ხანდახან ეზიარები, დიდი რამე და მძიმე ცოდვა არ შეგმთხვევია, კაცის მკვლელი არა ხარ, მაგრამ მაინც არა ხარ უმჯობესი სხვათა კაცთა, არამედ ვითარცა ერთი, ათასთა და ბევრეულთა სოფლის კაცთა, შთაფლულთა სოფლის ამაოებასა შინა", – ასე მიმართავდა იმერეთის მრევლს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც სამწყსოსათვის თვითონ იყო მაგალითი საკუთარი ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ალბათ, სწორედ მისი მსგავსი კეთილი მწყემსები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ ერის სულიერ ზრდასა და განვითარებას.

წმინდა მამა გრიგოლ ფერაძე წერდა: "როგორი ბერი, ისეთი ერიც; ჩვენი ერის აზროვნება არაა მატერიალისტური, არამედ იდეალისტურია. ე. ი. რა სიმაღლეზედაც იდგება სამღვდელოება, მისი ყოველგვარი მნიშვნელობით, ამ სიმაღლეზედ იდგება თვით ერიც".

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველისათვის რომ გეკითხათ: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რისი გაკეთება შეგიძლიაო? დამერწმუნეთ, ვერ მოიძიებდით თავდადების უნაპირო ზღვარს. ქვეყნის დამოუკიდებლობის აუხდენელ ოცნებაზე შენდებოდა ქვეყნის განვითარების და აღორძინების ყველა რეალობა.

არ დადგა დრო, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რამდენმა ღირსეულმა მამულიშვილმა ჩაიტანა საფლავში ქვეყნის დამოუკიდებლობის ვერახდენილი ნატვრა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, მართლაც და ყველაფრისათვის ვიყავით მზად. ეს ფიქრი ერეოდა ყველა შიშსა თუ დაბნეულობას.

ალბათ, დროულია, გავიხსენოთ 9 აპრილამდე არსებული სინამდვილე, გავიხსენოთ ჩვენი თავი იმ სიმართლეში, გავიხსენოთ, როგორ ვოცნებობდით დამოუკიდებლობაზე.

მაშინ რიგიანად არც კი ვფიქრობდით ჩვენს პიროვნულ ადგილზე იმ საოცნებო საქართველოში, ალბათ, მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან საუბრისას თუ გვიფიქრია, რომ ნებისმიერ სამყაროში (ვიგულისხმოთ ის, როგორიც გვინდა) თავისუფლება ესაა გონიერი მოქმედების უფლება.

თავისუფალი ვარ, ე.ი. როგორც არ უნდა მიჭირდეს, უნდა მოვიძიო საკუთარი ქმედების ნორმა და საკუთარ თავზე უნდა ავიღო თავისუფლების სიმძიმე.

მრავალგზის დაანონსებული არეულობის "მოლოდინში", როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს, ფიქრობ – იძენს თუ არა რაოდენობრიობა თვისებრიობის ხარისხს? ილიასეული მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობლიობა ქმნიდა და ქმნის თანამედროვეობის სურათს. ძნელბედობისას თითოეულზე ცალკე ფიქრი ხალიჩაზე ფერის გარჩევას ჰგავს, თუ რეალობის აღქმაა საჭირო – სამივე უნდა დავინახოთ.

შთამომავლობისათვის უმთავრესია იცოდეს, რასა აქვს მამულიშვილისათვის მუდმივი ღირებულება – გარდასულის რესტავრაციას თუ თანამედროვეობის შექმნილ ეთიკურ და ზნეობრივ არსს?

ქართველისათვის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივად საინტერესო იყო. თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ურთიერთობის საშუალება, მეტიც ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი. ამიტომაც თავგამოდებით ვიბრძოდით ამ ღვთაების თავისთავადობისა და შეურყვნელობისათვის.

იყო ისეთი დროც... წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებში "სტუმარი-მასპინძელის" უფლებით ხატები გადაგვიღებეს, გაგვითეთრეს, "გაგვილამაზეს"...

მერე დარჩენილი ეკლესიებიდან მრავალი "საკუთარი ხელით" დავანგრიეთ, მერე უმადურმა სტუმარმა ზურგში დანა ჩაგვარტყა და ენის წართმევა მოგვინდომა, სამაჩაბლოც ოსეთად მოიჩვენეს, აფხაზეთი ერთმორწმუნე, მდიდარი მეზობლის სააგარაკოდ აქციეს...

"უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესია არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეული შთანთქას გეენიამ"; "თუ მოყვასს სურდეს პერანგი შენი, მიეცი მას სამოსელად... გადადიოდა უფალი ჩვენს წინაპრებში სიტყვით, სიკეთით, სიყვარულით...

მაგრამ "ჰანიბალი ჭიშკართან იდგა" და მისი მცდელობით ხშირად ცხოვრება დისპროპორციულ სარკეში დანახული რეალობა ხდებოდა, ისეთი, თეატრის დაბადების გარიჟრაჟზე რომ მოიგონეს ემოციის გასამძაფრებლად, მნახველთა გასაოცებლად, შესაშინებლად, დასამორჩილებლად, მათზე საბატონოდ – ეს პარადოქსი კი არა, ქართველთა თანამდევი სატყუარა გახდა.

თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკა მრავლისმომცველ შესაძლებლობას იძლევა - დახატულს სინამდვილედ შემოგატყუებენ (ჩვენც კარგა ხანია ვიჯერებთ!) ეს მხოლოდ ილუზიაა, მაგრამ მაყურებლისათვის სიმართლეა, რადგან ვერ ვამჩნევთ პირობითობის ტექნიკურ ელემენტს. რა დაემართებოდა ამ სიმართლეს, ეკრანზე მაგიდასთან მომუშავე კომპიუტერის "ოსტატის" უნებლიე შეცდომა რომ დაგვენახა?

"რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა შინა, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო" – ამბობს უფალი – ალბათ, ღირს აღნიშნულზე დაფიქრება ყველა დროსა და რეალობაში.

ათას მეერთედ მახსენდება 1989 წლის 9 აპრილი, თალხში გახვეული დედაქალაქი, დარბევის შემდეგ მოძებნილი მეგობრების ხმის გაგონების სიხარული და შეგრძნება იმისა, რომ ყველას (ან გნებავთ პატრიოტებს!) ერთი საფიქრალი გვქონდა, მას შემდეგ ვიცით - კაციც და ერიც მაინც იმით ფასობს, რღვევას თუ აქცევს გამთლიანებად, ნგრევას აშენებად, სიძულვილს სიყვარულად. ამ უნარის გარეშე ვჭირდებით კი დედამიწის ისტორიას?

ბევრი ომის მნახველ ქართველებს ხან მტერი ატყუებს, ხან "მოყვარე" და თუ თავისუფლება მარადიული ბრძოლაა დამოუკიდებელ ქვეყანაში, აღარ გვაქვს უფლება ვერ გავუძლოთ თავისუფლების სიმძიმეს, მძიმე ტვირთს! (მედროვეები ნუ გამოგვეხმაურებიან!).

ნანა მერებაშვილი.

გამწვანების აქცია

კასპში გამწვანების აქცია გაიმართა. ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისი" წლებია თანამშრომლობს კასპის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მარადმწვანე და ფოთლოვანი ნერგებით ამარაგებს.

ამჯერად ორქისელებმა კასპელებს კავკასიური ფიჭვის და ნუშის ნერგები ჩამოუტანეს, რომლებიც მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, საჯარო სკოლებსა და მუზეუმებს გადაეცათ.

დარგვის აქციაში კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე მონაწილეობდნენ. ვახტანგ მაისურაძემ ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისს" თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა .

სოციალურ-ეკონომიკური რეაგირება კოვიდ-19-თან დაკავშირებით

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოების პრეზიდენტს ნათია ლოლაძეს და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს ლელა ბაქრაძეს შეხვდა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFRA) საქართველოს ოფისის პარტნიორობით გრძელდება სოციალურ -ეკონომიკური რეაგირება კოვიდ-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებზე. პროექტი მიმდინარეობს საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, მათ შორის კასპშიც.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები, რომელიც ეხება ხანდაზმულთათვის სხვადასხვა სახის დახმარების, მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი მარტოდ მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოხუცებს გადასცეს სასურსათო და ჰიგიენური ამანათები.

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა ნათია ლოლაძეს და ლელა ბაქრაძეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმული მარტოხელების დახმარებისათვის, ასევე გამოთქვა მზაობა სამომავლო თანამშრომლობისათვის.

გაიხსნა პროფესიული კოლეჯი და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი

კასპში ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის დასრულების და გახსნის ცერემონიალი გაიმართა. კასპს განათლების ორი კერა შეემატა - პროფესიული კოლეჯი და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი.

გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, განათლების ხარისხის განვითარების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის წარმომადგენლები.

მათ კასპელ ახალგაზრდებს მიულოცეს და მოუწოდეს, შეისწავლონ პროფესიები, მეტად განვითარდნენ და შეიქმნან მომავალი.

"თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ერთად კასპში და ზოგადად შიდა ქართლში ისტორიული პროექტები განვახორციელეთ.

კასპში ტექნოპარკი და პროფესიული კოლეჯი გავხსენით. რეგიონის ახალგაზრდებს და ზოგადად მოქალაქეებს ექნებათ თავისუფალი სივრცე, რომ თავისი ნიჭი და იდეები რეალობად აქციონ და რაც მთავარია, თავისი შესაძლებლობები რეგიონის განვითარებას მოახმარონ" - აღნიშნა ირაკლი მეზურნიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომლის ძალისხმევის შედეგია დღევანდელი წარმატება.

აღნიშნული კოლეჯი საშუალებას

მისცემს არა მარტო კასპელ, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას, განვითარდეს პროფესიულად.

პროფესიული სასწავლებლის მისიას წარმოადგენს თითოეული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი და ხარისხიანი სწავლებით უზრუნველყოფა.

ეს ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათ დასაქმებას და თვითრეალიზაციას.

ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

ასევე რეგიონის ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს მხარდაჭერით, ინოვაციური იდეები რეალურ ბიზნესად აქციონ და განავითარონ თავიანთი სტარტაპიდეები.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.



წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები

სოფელ ერთაწმინდაში შპს "ჰიდრო-ემ"-ი აგრძელებს წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებს.

პროექტით დაგეგმილია უსტარაულის სათავე ნაგებობის და წყალსადენის მილის რეაბილიტაცია-მოწყობა, შენდება 300 მ3 რკ/ბეტონის რეზერვუარი. ასევე მოეწყობა საქლორატოროს შენობა და ტექნოლოგიური დანადგარები. სამუშაოების ღირებულება 302 439 ლარია და ფინანსდება რგფ-ისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ. განხორციელებული პროექტი მოსახლეობის წყალმომარაგებას გააუმჯობესებს.

სასმელი წყალი ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია.

სასმელი წყლის სამუშაოები ამჟამად სოფელ დოესში, თეძმისხევში, მიქელწყაროსა და აღაიანში მიმდინარეობს.

ჯასპში 1970 წლის 22 ნოემბერს დაიდგა მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტური ქანდაკება ,,გიორგი საააკაძე,,

,,გიორგი საააკაძე საქართველოს ჰგავს,,

ქართლში ძველ უბანთა უმეტესობა ერთმანეთის მიჯრით აშენებული სახლების ერთობლიობით შემორჩა. დაკვირვებული თვალი მათ იოლად გამოარჩევს ახლად აშენებული დასახლებებიდან. ეს, სიძველის გაფრთხილების შედეგი არ გახლავთ. დღენიადაგ ფიზიკურ გადარჩენაზე მზრუნველი ჩვენი წინაპარი საერთო სამოსახლოს გალავანივით ავლებდა გვერდიგვერდ აშენებულ სახლებს. ის, რაც მტერს გადაურჩა, დღეს დროის ყოვლისმომსვრელ სატკივარს შეჭიდებია და მის ჩუმ განაჩენთან ერთად ცხოვრობს. დრო კი ებრძვის მას, მაგრამ უმისოდაც ვერ ცოცხლობს...

მტრის შემოსევისას თავის დაცვაზე ფიქრი და ზრუნვა ისტორიულად დღენიადაგი საზრუნავი იყო. გმირებიც გოლიათებივით მამაცნი და უშიშარნი იბადებოდნენ. აკი ბრძანა, კიდეც XX საუკუნეში კონსტანტინე გამსახურდიამ, რომ ისინი იყვნენ "უშიშარნი ვითარცა უხორცო".

ქარქაშში ჩაუგებელი ხმლების, ჯაჭვის პერანგის, "ქუდზე კაცისა" და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული შვილების ისტორია საკრალური ცოდნასავით სისხლში აქვთ ქართველებს.

ეროვნულ გმირთა გახსენების დღეები კი ოცნების ხიდებივით გვაახლოებენ საამაყო წარსულთან. ასეთ დღეებში არ გერიდება ხმამაღლა გაამხილო, რომ მამული შენი სიცოცხლეა და არ არსებობს მტერი, რომელსაც შეუძლია დაგამარცხოს.

საკვირველება
1625 წელი

"უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა ქართლ-კახეთს შაჰ-აბას პირველმა 1625 წელს – ქართლის მოსახლეობა უნდა აეყარათ და ირანში გადაესახლებინათ. კახეთის მოსახლეობა კი მთლიანად უნდა გაეჟლიტათ. ამ საშინელი კატასტროფისაგან ქართველი ხალხი იხსნა გიორგი საააკაძემ. გიორგის მოღვაწეობას ასეთი შეფასება მისცა დიდმა აკაკი წერეთელმა: "გარყვნილმა და გულგადაბრუნებულმა დიდ-კაცობამ: ერისთავებმა, დიდებულებმა და თავადებმა მიიყვანეს სამეფო უფსკრულის კარამდე. ერთი ნაბიჯი კიდევ და საქრისტიანო სამეფო, ოდესმე დიდებული, ჩაინთქმებოდა სამარადისოდ... ის იყო კინაღამ ბოლო მოელო სამეფოს! თუ არა სასწაული რამ, ანუ საკვირველება, ვერა გადაარჩენდა რა! და კიდევაც მოევლინა საკვირველება! ეს იყო დიდი მოურავი სააკაძე!" (ისტორიკოსი – პროფესორი დევი კაჭარავა).

"თუ პიროვნების დიდი კაცობა სამშობლოსადმი ღვაწლით იზომება, გიორგი სააკაძეზე დიდი ვინ არის, მან სპარსეთის სპასალარობა რიგითი ქართველი მოლაშქრის როლზე გაცვალა და ყველაზე დიდი ამბოხება მოაწყო შაჰ-აბასის წინააღმდეგ (მარტყოფი), შვილიც უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს (პაატა!)

გიორგი სააკაძე საქართველოს ჰგავს.

საქართველოც ისეთი დაუძინარი, დაჩეხილი და სვეგამწარებულია, როგორც მისი უკვდავი შვილი – გიორგი სააკაძე" (მწერალი რევაზ მიშველაძე).

და მაინც, საქართველოს გამთლიანებისათვის რამდენი შრომა, თავდადება, გარჯა და ფიქრია გაღებული, კიდევ რამდენი გვჭირდება?!







კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქცია მადლობას უხდის ამირან ტალახაძეს ძეგლის დადგმამდე მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ფოტოების მოწოდებისათვის.

რომელ სასაფლაოზეა გამოხატული გიორგი სააკაძის ფარი?

ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული გმირის, დიდ მოურავად სახელგანთქმული გიორგი სააკაძის ცხოვრება – აღსავსე სიმძიმილითა და ტრაგიზმით, მშფოთვარებითა და ბრძოლით – ამოუწურავი თემაა მისივე თანამემამულე მოკალმეთათვის. თანაც, რაც ჟამდროება გადის, სულ ახალ-ახალი ავტორები ინტერესდებიან ამ რთული და დიდი თემით...

ამ წერილის ძირითადი სათქმელი მწერალი ქალის – ანა ანტონოვსკაიას შესახებ წარიმართება, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ გიორგი სააკაძის შესახებ მონოგრაფიები (ვრცელი მეცნიერული ნაშრომები) შეუქმნიათ: პლატონ იოსელიანს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ანტონ ფურცელაძეს, სიმონ ქვარიანს, ს. კაკაბაძეს, გივი ჯამბურიას, ჯანსუღ ღვინჯილიას, რ. ნიორაძეს...

გიორგი სააკაძის სახე ისტორიულ დრამებში გამოუყენებიათ ანტონ ფურცელაძეს, სანდრო შანშიაშვილს, იონა ვაკელს, უშანგი ჩხეიძეს...

მასზე ლირიკული ნაწარმოებები გამოუქვეყნებიათ აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, შოთა ნიშნიანიძეს, გ. აბრამიძეს...

გიორგი სააკაძეს მხატვრული ნაწარმოებები უძღვნეს: არჩილ მეფემ – "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა", ვასილ ბარნოვმა – "მიმქრალი შარავანდედი", ლევან გოთუამ – "უგზო ქარავანი", ლევან სანიკიძემ – "გიორგი სააკაძე", სიმონ ქვარიანმა – "დიდი მოურავი", ანა ანტონოვსკაიამ – "დიდი მოურავი".

კიდევ ერთი საჭირო, აუცილებელი გადახვევა, რომელიც უკავშირდება პირველ ავტორს – პლატონ იოსელიანს: წიგნი გიორგი სააკაძეზე პლატონ იოსელიანს დაუწერია გენერალ-ლეიტენანტ რამაზ თარხნიშვილის შთაგონებით. ამ უკანასკნელს, როგორც სამხედრო პირს, სხვადასხვა ადგილზე უხდებოდა ცხოვრება. ხშირად ჩამოხდებოდა ხოლმე სტუმრად სოფელ ახალქალაქში, სადაც ყოვნდებოდა საკუთარ უმცროს ძმასთან, დიმიტრისთან. სხვათა შორის, მამაც და ვაჟკაც გენერალს თურქებთან ომში მიუღია ოქროთი მოჭედილი ხმალი წარწერით "მამაცობისათვის", იგი დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ გმირი წინაპრისა, გიორგი სააკაძისა და შემოქმედებითი ნაპერწკლით გაუღვივებია მეგობრის გული. პლატონ იოსელიანს 1848 წელს გამოცემული წიგნი სწორედ მისთვის მიუძღვნია და შესავალში პირადადაც მიმართავს: "თქვენ გსურდათ გქონდათ თქვენი გვარის ფუძემდებლის, დიდი მოურავის ისტორია... მე შევასრულე თქვენი სურვილი, აღვწერე მისი ცხოვრება... ჩემს ნაშრომს გიძღვნით თქვენ, როგორც დიდი მოურავის ფართო ოჯახის წევრს".

აქვე უპრიანია აღვნიშნოთ რომ, გენერალ თარხნიშვილის ვაჟიშვილი იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი). გიორგი სააკაძის შთამომავალი სახელგანთქმული მეცნიერის დაბადებიდან 150-ე წლისთავი 1996 წლის ივნისში შესრულდა (1846 წლის 27 ივნისი – 1908 წლის 11 აგვისტო).

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებიდან, თვით მეფიდან, თანამედროვე პოეტამდე, მხოლოდ ერთი გახლავთ ქალბატონი, თანაც არაქართველი.

... კასპში, შუაგულ მოედანთან ახლოს, სადაც აღმართულია გიორგი სააკაძის ბერძენიშვილისეული დიდებული ძეგლი, და, კიდევ, ზედვე ებმის სახალხო გმირისავე სახელობის ქუჩა, არის მეორე პატარა ქუჩაც – რუსი მწერალი ქალის სახელის პატივსაცემად. მისასალმებელია, რომ ქალაქის მესვეურებს, თავის დროზე, ქუჩების დამისამართებისას, პატივისგება არ დავიწყებიათ მადლიერების გამოხატვის ნიშნად.

ანა ანტონოვსკაია დაიბადა 1886 წლის იანვარში, ქალაქ თბილისში და საქართველოშივე, სხვადასხვა ქალაქსა თუ მხარეში, გაატარა თავისი ბავშვობისა და ქალიშვილობის უმეტესი დრო.

მისი მამა, არნოლდ ვენჟერი, სპეციალობით გრავიორი იყო და ლუკმაპურის საშოვნელად ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილს. და, აი, მესხეთში, 1908 წლის სექტემბერში, საფარის მონასტრის ეზოში, 23 წლის ანამ პირველად გაიგონა იქაური ჭაღაროსანი გლეხისაგან გიორგი სააკაძის სახელი და გულში ისე ჩასწვდა ქართველი მხედართმთავრის საგმირო საქმეთა ამბავი, რომ გონებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა, მთელი 20 წელი მასზე ფიქრი ვეღარ მოიშორა, უტრიალა და უტრიალა თემას, მერე შებმაც შებედა სარომანო უღელში.

30 წლის მანძილზე, 1928-1958 წლებში, ინტენსიურად მუშაობდა მონუმენტურ ისტორიულ რომან-ეპოპეაზე "დიდი მოურავი". დიდია ამ მრავალტომიანი ეპიკური ტილოს იდეურ-მხატვრული ღირსება, შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობა.

ქართულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ზღვა მასალა არსებობს გიორგი სააკაძეზე. ამიტომაც უფრო წონადი და მნიშვნელოვანია ის შემოქმედებითი გმირობა, მწერალი ქალის სახელს რომ უკავშირდება.

მიხეილ ჯავახიშვილი, რომანის პირველი წიგნის გამოსვლისას, ანა ანტონოვსკაიას წერდა: "თქვენ გმირობა ჩაიდინეთ. კარგად არის ცნობილი ჩემთვის, ვიდრე სხვათათვის, როგორ ძნელია რომანის დაწერა საქართველოს ისტორიიდან, მით უფრო არაქართველისათვის და სამჯერ "მით უფრო" გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან... მე წავიკითხე მთელი ან თითქმის მთელი ბელეტრისტული ლიტერატურა საქართველოს ცხოვრებიდან, უცხოელთა მიერ დაწერილი, და, შემიძლია გავბედო იმის თქმა, თუ მხედველობაში მივიღებთ თემის სიმძიმეს, რომ ანტონოვსკაიას რომანი შეიძლება საუკეთესოდ ჩაითვალოს ამ სერიაში".

"დიდი მოურავი" ღირსეულად შეაფასეს რუსული ლიტერატურის აღიარებულმა ოსტატებმა: ლეონიდ ლეონოვმა, კონსტანტინე ფედინმა, ილია ერენბურგმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ალექსანდრე ფადეევმა. უამრავი საქებარი სტატია და ნარკვევი უძღვნეს საზღვარგარეთელმა ცნობილმა კრიტიკოსებმა და ლიტერატორებმა, ისტორიულ მეცნიერებათა დიდმა წარმომადგენლებმა. "დიდი მოურავისათვის" საფუძვლად დადებული ისტორიული კონცეფცია დადებითად შეაფასეს აკადემიკოსებმა: ევგენი ტარლემ, ნიკო ბერძენიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა (რომანის მეორე წიგნის ისტორიულმა კონსულტანტმა).

რომანზე მუშაობისას ანა ანტონოვსკაიამ მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და სკრუპულოზურობით შეისწავლა და ღრმად გაიაზრა გიორგი სააკაძისა და მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი რთული და ურთიერთწინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიული მასალა.

მუშაობის ამ ეტაპზე, მას დაუფასებელი დახმარება აღმოუჩინა ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, მწერალმა ბორის ჩორნიმ, რომელსაც ეკუთვნის რომანის ტექსტში ჩართული ქართული და რუსული ფოლკლორული მასალის ლიტერატურული ინტერპრეტაცია.

ანა ანტონოვსკაიას რომანი თარგმნილია ქართულ (არისტო ჭუმბაძის მიერ) და უცხოურ ენებზე. 1942 წელს, ავტორს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია. იმავე წელს, ასეთივე ჯილდოთი აღინიშნა ორსერიანი მხატვრული ფილმი "გიორგი სააკაძე" (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი), რომელიც გადაიღეს თანაავტორებისავე სცენარით.

... მოსკოვში, ნოვოდევიჩევის სასაფლაოზე, "დიდი მოურავის" ავტორის საფლავის ქვაზე გამოხატულია გიორგი სააკაძის ფარი, ცნობილი წარწერით.

როცა კასპში გიორგი სააკაძის ქანდაკება იდგმებოდა

1970 წლის ზაფხულში, როცა კასპში გიორგი სააკაძის ქანდაკება იდგმებოდა, მაესტრომ, თურმე, მოითხოვა: - იქნებ, ღამ-ღამობით, სამუშაოთა მოედანზე დარაჯი დავაყენოთ, გიორგის ძეგლის დეტალებს არაფერი შებედონო!..

ბევრი ძებნა-გაკითხვის შემდეგ, მასპინძლებმა მას წარუდგინეს შავკაბიანი და თალხთავსაფრიანი დედაკაცი, - ჯერ ერთი, აქვე ცხოვრობს, და, მეორეც, კასპელები "ოთარაანთ ქვრივს" ვეძახით, რაღა დიდი ილიასეული ქალი-მეხის შეუვალობა და შემართება და რაღა ამისიო!

მათ ერთმანეთი გაიცნეს, ისაუბრეს და შეთანხმდნენ საკეთებელი საქმის თაობაზე.

მერაბ ბერძენიშვილმა საავტორო ჰონორარის სახით რამდენი ირგუნა კასპში დადგმულ ნამოღვაწარში, ამის თაობაზე არაფერი მსმენია და არსად ამომიკითხავს. ოღონდ, საშვილიშვილო საქმის თანამონაწილის წილადი ამაგის ანაზღაურება მან საკუთარი ჯიბიდან მოისურვა და დაეკითხა: - აბა, ჩემო კარგო ქალბატონო, რამდენი მოგართვათ?



ოო, მაშინ უნდა გენახათ კასპელი "ოთარაანთ ქვრივის" სახის გამეხება და ერთიანი განრისხება: - უწინ სულ სააკაძე დარაჯობდა საქართველოს და ახლა მე მისი მხოლოდ ვალი გავისტუმრე... სხვა აღარაფერი შემომბედო, თბილისელო ბატონო!

ახლა მისი, თბილისელი ბატონის გაკვირვება უნდა გენახათ, ვისაც გულში მამაკაცური კმაყოფილების თავისებური საფანელიც ჩაედო, ასეთი დიდსულოვანი ქალისაგან სხვანაირი მოქცევა არც ეგებისო...

ბოლოს, მერაბ ბერძენიშვილმა, - იმდენი სიმბოლური თანხა მაინც გამომართვი, შვილიშვილებს ტკბილეული რომ უყიდო, გაახარებ და მადლობას გეტყვიან, ხოლო აქეთ მეც მადლიერი დაგირჩები!

დარაჯმა-ქალმა, - არა, არაო! - და, მოულოდნელი ერთი სურვილი კი განუცხადა, - აი, ფოტოგრაფი რომ გახლავს, თბილისიდან სპეციალურად ჩამოგიყვანია და სურათებს პოზა-პოზა აღებინებ, აბა, მეც დაგიდგები გვერდით, ჩემთან თუ იკადრებ ფოტოს გადაღებას... მაგ შენი ბოძებული ფულით ნაყიდი კამფეტის გემოს ჩემი შვილიშვილები ოდესმე მაინც დაივიწყებენ... აი, სურათის დახედვისას კი მაშინაც იამაყებენ თავიანთი ბებოთი, ათწლეულების მერე როცა ცოცხალი აღარ ვიქნები!..

ჰოდა, თქვენი მოწონებული, გადაიღეს ერთად ეს ფოტოსურათი. რაც მთავარია, ერთიც კმაყოფილი დარჩა და მეორეც, არანაკლებად... აბა, შეხედეთ, დააკვირდით, მათი დგომის მანერას, დიდი მოქანდაკეცა და ერთი უბრალო ქართლელი დედაკაციც ნამდვილად განასახიერებენ სასურათხატე და საძეგლე ტიპაჟებს...

... და კეთილად ასრულდა კასპელი "ოთარაანთ ქვრივის" ჩანაფიქრი: სურათი ოჯახურ ალბომში დღემდე სასოებით შემოინახეს ქალბატონი აზნო ავაქის ასული მანუკოვას შთამომავლებმა (თვითონ კი, ფრიად წინდახედული აზნო ბებო, ძეგლის დადგმიდან 26 წლის შემდეგ, 1996 წლის მაისში გარდაიცვალა 74 წლის ასაკში)...

ნეტა, ვინ იყო ის თბილისელი ფოტოგრაფი?

ამირან ტალახაძე.

თანამედროვე

საკუთარ ნიადაგთან მიჯაჭვულობა, ისევე, როგორც მრავალი ერის შვილებისათვის, ქართველთათვისაც მტკივნეულად ორგანული და მუდმივად თანამდევი თვისებაა.

ქართველებს, ებრაელთა და ბერძენთა მსგავსად, "ბებერ ერს" უწოდებენ. ათასწლეულებგამოვლილმა გენეტიკურმა მეხსიერებამ, ნიადაგსა და ადამიანს შორის, აუხსნელი, თითქმის ტრაგიკული მგრძნობელობით აღბეჭდილი კავშირი ჩამოაყალიბა. იმ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ერი ატარებდა, სწორედ ამ ადგილთან, ამ საცხოვრისთანაა შერწყმული; ამიტომ წარსული – წინაპრები – მიწა ერთიან, სათაყვანო სუბსტანციად შეიკრა.

ადგილი, სადაც დღეს ქართველები სახლობენ, ქრისტემდე მრავალი საუკუნით ადრე ყოფილა პროტოქართული ტომების სამშობლო. ამ ოდინდელი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში, ხან ერთი ქართული ტომი მძლავრობდა და დაწინაურდებოდა, ხან – მეორე. იმ ტომების სახელები (ისინი დღესაც შემორჩენილია სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველთა წარმომავლობისა და ტოპონიმების აღსანიშნავად), რომლებიც ასურეთის მახლობლად ცხოვრობდნენ, უძველეს ასურულ წყაროებშია შენახული. ხოლო ზოგი-ერთი ტომისა, უფრო კი მათი, ვინც შავი ზღვის ნაპირას სახლობდნენ, ბერძნულ წყაროებსა და მითოსში გვხვდება. მრავალი ცნობა აღმოჩნდა მოსეს ხუთწიგნეულშიც.

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე კლასობრივ გაერთიანებებზე დაყრდნობილი ადრეული სახელმწიფო წარმონაქმნები – დიაუხი და კოლხა ჯერ კიდევ მითოსური საბერძნეთის დროს შესაშური კულტურული სიბრძნის მატარებელ ადამიანთა სამშობლო ყოფილა.

სწორედ ოქროს საწმისის ჯადოსნური ძალისა და ინიციაციური ცოდნების დასაუფლებლად ჩამოვიდნენ აქ ინტელექტუალი ბერძნები. კოლხები ანუ კასკაია, ასურულ ლურსმულ წარწერებშიც იხსენიება და ბერძნულ წყაროებშიც.

უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები, ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომი – მესხები, იგივე "მუსკები", საკმაოდ მძლავრი, საბრძოლო ხელოვნებაში ერთობ გაწაფული და გულადი ხალხი ყოფილა. ალბათ, ძალზე ძლიერნიც, რადგან წარმატებულ დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სწორედ ისინი არიან ყველაზე უწინ მოხსენიებულნი ძვ. წელთაღრიცხვის 1100 წლით დათარიღებულ ასურულ წარწერაში, სადაც ტიგლატ-პილესარ I გვიამბობს, რომ მისი ხელმწიფობის ჟამს "ძლიერებით მოქადული 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერცერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო." ეს მესხები, იგივე მასხები, მოსეს I წიგნში მეშეხად არიან წოდებულნი. მათს უშუალო შთამომავლებს დღესაც მესხები ჰქვიათ და, შემორჩენილია კუთხის აღმნიშვნელი ტოპონიმიც – მესხეთი. ეს ტომები მრავალ მეცნიერს ქართველთა და აფხაზთა

ფესტოსის დისკო ოქროდამწერლობა

საერთო წინაპრებად მიაჩნია. აფხაზთა ძველი სახელწოდება ა-ბასხი სწორედ მასხის ასიმილირებული ვარიანტია, რადგან აფხაზურში "ა" მხოლოდღა წინსართია.

სხვა ქართული ტომის ტაბალის (იგივე ტუბალი ან თობალი) შესახებ, ასურეთის უძლიერესი მეფის სალმანასარ II (860-825) წარწერაშია ნათქვამი: "ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა, მეოცდაერთჯერ ევფრატი გადავიარე და ჩავედი ტაბალად. ტაბალის ოცდაოთხი მეფისაგან საჩუქრები მივიღე". ასურულ წყაროებში ტაბალები და მუსკები ხშირად ერთად არიან მოხსენიებულნი. ასევე ერთად, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობს, "ტყუპად" სახელდებიან შესაქმეს წიგნებში. ჰეროდოტეს "ისტორიაშიც" ჩანს, რომ მესხები და ტიბარელნი მეზობლები ყოფილან.

იოსებ ფლავიუსის ცნობით, სწორედ ტაბალიდან წამოვიდა სიტყვა ტიბერი, შემდგომში "ჰიბერი" და იბერიაც – საქართველოს მეორე ძველი სახელი.

ასევე ბერძნულ წყაროებში იხსენიებიან მაკრონები, ანუ მეგრელ-ჭანები.

ევსტათი თესლონიკელი ამბობს, რომ ჩვენ მათ ახლა სანნებს, ანუ, მდაბიურად, ტძანებს ვეძახითო. სწორედ "ტძანიდან" მოდის სამეგრელოს შესატყვისი უძველესი ტოპონიმი "ჭანეთი".

ბიბლიის მრავალი მკვლევარის აზრით, შესაქმეში შენახულია ცნობები და პატარ-პატარა თქმულებები სხვადასხვა ტომების, მათ შორის, რამდენიმე ქართული ტომის შესახებ. ისინი თვლიან, რომ ტაბალები, იგივე იბერები ანუ ქართველები, ბიბლიური ტუბალ-კაენის (შესაქმეში მოცემული ერთი შტოს მიხედვით), ან ნოეს შვილიშვილის, იაფეტის ვაჟის –ტუბალის (მეორე შტოს მიხედვით) შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ.

ტაბალის ქვეყანა ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოხსენებული სალმანასარის ტექსტის მიხედვით, მას 25 ტაბალელი მეფე აძლევდა ხარკს. ბიბლიის – დაბადების I წიგნისა და ასურულ წყაროთა მოწმობით, ტაბალს და მუსკს (თუბალსა და მეშეხს) ორი ძლიერი, ფართოდ დასახლებული ერის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი.

ეზეკიელ წინასწარმეტყველის დროს, ისინი დიდი კერპების გოგისა და მაგოგის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ.

უდიდესი მიწაწყალი, რომელიც ძვ. წ. XI-VII საუკუნეებში ქართველ ტომებს ეჭირათ, თანდათანობით შემცირდა მცირე აზიაში კიმერიელთა და სხვა ინდოგერმანული ტომების შემოსევის შემდეგ. ქსენოფონტეს მიხედვით ქართულ ტომებს იძულებით ჩრდილოეთისკენ გადაუწევიათ და შავი ზღვის სამხრეთი და ძველი ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი მოუცავთ. უძველესი ტოპონიმი – კარდუ, იგივე ქართუ, საფუძვლად დაედო ერთიანი ეთნოსის აღმნიშვნელ სიტყვას – ქართუ-ელს, ანუ ქართველს და შემდგომში ქვეყნის სახელს – ქართლსა და სა-ქართუ-ელ-ოს. შუა

ბრინჯაოს ხანიდან (III-ათასწ. დასასრ. და II ათასწლეულის I ნახევარი) უძველესი ქართული ფუძეენა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო (სვანურ, მეგრულ-ჭანურ, ქართულ და აფხაზურ ენებად).

ქართული ტომების გაერთიანება და ქართულის ისევ სახელმწიფო ენად გავრცელება "ქართლის ცხოვრების" ცნობით ძვ. წ. IV საუკუნეში მხოლოდ დიდ მეფე ფარნავაზმა შეძლო ("ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა.")

ამ დროიდან ვიდრე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (ჩვ. წ. IVს.) ქართული ენა მკვიდრდებოდა და მძლავრდებოდა. ეს ენა და დამწერლობა, რომელიც ერთ-ერთია მსოფლიოში არსებულ 14 ორიგინალურ დამწერლობას შორის, იქცა ქრისტიანული საქართველოს ენად. სახარების მიხედვით ხომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ მარიამ

ღვთისმშობელი სწორედ ქართულად ამეტყველდა. ქართველები თავიანთ მიწას წმიდა ქალწულის წილხვედრად თვლიან.

მიწის სიწმინდესთან მიმართებაში შეიძლება კიდევ ერთი ისტორიული პარადიგმა მოვიხმოთ: მეცნიერთა საგულისხმო მოსაზრებები არსებობს ბიბლიური ურ-კაშდიმის თაობაზე, სადაც მამამთავარი ანუ პატრიარქი აბრაამი ცხოვრობდა. ბევრ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა; ე.ი. "ურ" ურარტუს ნიშნავს, კაშდიმ კი, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ასიმილაციის შედეგად მიღებულ ქართივ-ს ("ივ" მრავლობითის ნიშანია) – ქართველი ტომების სამოსახლოს. თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ, გამოდის რომ წმინდა აბრაამის საცხოვრისი სწორედ ურარტუს ქართების ტერიტორია ყოფილა. იქნებ, ზემომოყვანილი და კიდევ მრავალი მიზეზი განაპირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი. თვით ქართული მიწა ხომ წმინდა ნივთიერებასთან არის გაიგივებული. უცხოეთში ნებით თუ იძულებით გადახვეწილ ქართველებს მუდამ თან დაჰქონდათ საქართველოდან წაღებული, პატარა ტომსიკაში გამოკრული მიწა და თუ უკან ვერ დაბრუნდებოდნენ, შთამომავლებს უბარებდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ გულზე "სამშობლო" მოებნიათ.

არსებობს ერთი, ამ კუთხით ნიშანდობლივი ქართული ზღაპარი "მიწა თავისას მოითხოვს", რომლის მთავარი გმირი, ჯერაც უწვრთნელი ჭაბუკი ისეთი ქვეყნის საძებნელად მიეშურება, სადაც სიკვდილი არ არის. სხვა განზომილებაში, დროისა და სივრცის გარეთ გაჭრილი პერსონაჟი ბედნიერებას პოულობს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიშ-

დასასრული გვ-12.

პირველი ნომრის გამოსვლამდე

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას წინ უძღოდა მრავალი მოსამზადებელი სამუშაო. საქართველოს კპ კასპის რაიკომში 1931 წლის პირველ ოქტომბერს შედგა თათბირი, სადაც განიხილეს რაიონული გაზეთის გამოშვების საკითხი. თათბირზე დაადგინეს სარაიონო მასშტაბით ნაბეჭდი გაზეთის გამოშვება.

გაზეთს უწოდეს "კომუნიზმისაკენ", რომლის პირველი ნომერი

1931 წლის 7 ნოემბერს, შაბათს გამოვიდა. გაზეთი იყო ოთხგვერდიანი, ღირდა 5 კაპიკი, ტირაჟი 2000 ცალი.

რედაქციას თავიდან საკუთარი სტამბა არ გააჩნდა, იგი იბეჭდებოდა გაზეთ "კომუნისტის" სტამბაში. საერთო ხელმძღვანელობას ადრეულ წლებში უწევდა გაზეთ "მუშის" სარედაქციო კოლეგია. ეს იყო საქართველოს კპ(ბ) კასპის რაიკომისა და რაიაღმასკომის ათდღიური ორგანო. 1935 წლიდან 1955 წლამდე გაზეთი ორგვერდიანი იყო. 1956 წლიდან კი გაზეთი გადაკეთდა ოთხგვერდიანად. 1945 წელს გაზეთს მხოლოდ ორი საშტატო ერთეული ჰქონდა: რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი.

40-იან წლებში რედაქციას თავისი სტამბით ეკავა ორი ოთახი, სადაც ახლა მუზეუმია. იმ ადგილზე პირველ სართულზე იყო რედაქცია-სტამბა, მეორეზე მანქანა-ტრაქტორთა სადგური. საგაზეთო მასალები ხელით ეწყობოდა. იმ დროს ასოთამწყობები იყვნენ: ევა პავლიაშვილი, ვალერიან ტყემალაძე, მიხეილ შაველაშვილი, ნიკოლოზ ბასილაშვილი; მკინძავი მარფა მალცევა. 1961 წელს კასპში მოხდა სტამბის რეორგანიზაცია.

1962 წლის 29 აპრილიდან გაზეთის გამოშვება შეჩერდა. 1965 წელს კი სტამბის მოსაწყობად გიორგი ნიჟარაძე მოიწვიეს. მისი ინიციატივით შეიკრიბნენ სტამბაში ილია გორგაძე, ალბერტ შაველაშვილი, შოთა რევაზიშვილი, ჟუჟუნა საჩალელი.

1966 წელს ისევ განახლდა გაზეთის გამოცემა. 1967 წლის 11 თებერვლიდან გამოდის "განთიადის" სახელით.

ახალ სტამბაში გაზეთი "განთიადი" პირველად დაიბეჭდა 1981 წლის 17 დეკემბრის (№148) ნომერი. რედაქციაც ამავე შენობაში გადავიდა. მისამართი წერეთლის ქ. №5ა. ძველი მისამართი იყო პირველი მაისის ქ. №32.

მადლიერების გრძნობით უნდა გავიხ-

სენოთ "განთიადის" პირველი რედაქტორები, რომლებიც ჯერ არ აწერდნენ ხელს, შემდეგში კი უკვე ხელმოწერით ამცნობდნენ რაიონის ცხოვრებას მკითხველებს. ესენი იყვნენ:

ალ. სილაგაძე,
გრ. პაპავა,
ნიკოლოზ გიორგის ძე ჩადუნელი,
შალვა შაველაშვილი,
ივანე ბუზალაძე,
ტიტე მეგენეიშვილი,
ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე,
ვახტანგ ივანეს ძე ელისაბედაშვილი,
ალექსანდრე ბეჟანიშვილი,
გურამ ლეონიდეს ძე კლდიაშვილი,
თამაზ შეშაბერიძე,
თემურ ჟღენტი,
ნანა მერებაშვილი.

ჩვენთან ერთად ცხოვრობს ერი

წინასიტყვაობის მაგიერ...

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ცხოვრება კი, შესაბამისად, უფრო მკაცრი, საშოვარსგადაგებულ ქვეყანაში ქაფად ქცეულმა ლექმა სეისმური სიმძლავრით გვაგრძნობინა, რა მნიშვნელოვანია ყოველი ქართველის პატიოსნება და პატრიოტიზმი. ისიც გვაგრძნობინა, რომ სენტიმენტები წარსულის კუთვნილება გახდა.

ადრე თუ გვიან საზოგადოება აღიარებს იმ ადამიანების სწორად ცხოვრებას, რომელთა მთავარი თვისება პრინციპების ერთგულება და თანმიმდევრულობაა. ისინი სანამ არიან, უმეტესად პატივისცემის მიღმა რჩებიან. ასეთია ჩვენი არსებობის დიალექტიკა და ღირსეულ ადამიანთა არსებობის სინამდვილე.

იყო დრო, როცა კანონზე მნიშვნელოვანი მავანთა ახირება გახდა და ყველამ თავის თავზე მოირგო სინამდვილე.

ყველა საქმეში უმკაცრესი პრინციპი ზომიერებასა და სიმკაცრეს მოითხოვს, რადგან უმნიშვნელო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ზედმეტობაც კი არღვევს მთლიანობას. ეს იციან მხოლოდ მათ, ვინც რაღაც უფრო მეტი იციან ცხოვრებაზე, ვიდრე ადამიანთა უმეტესობამ. ამ მიგნებას საგულისხმო და განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ემოციური საფუძველი აქვს.

გაზეთის შინაურ თუ გარეულ მტერთან ბრძოლით დაკავებულები რამდენი წელია გაზეთის გადარჩენის კანონით ვცხოვრობთ. ვერავინ იტყვის, რომ ამ ბრძოლაში ოდესმე პირადულს გადაჰყვა სუფთა ხელებით ნაშენები სტრიქონები, ყვითელი პრესის მოთხოვნებიც წაგვიყენეს პროვინციულ სინამდვილეში, პარტიული და სახელმწიფო აზროვნების საზღვარიც ძნელად გაარჩიეს... ჩვენ კი ვიცოდით, რომ ყველა საქმეში უმკაცრესი პრინციპი ზომიერებასა და სიმკაცრეს მოითხოვს, რადგან უმნიშვნელო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ზედმეტობაც კი არღვევს მთლიანობას. თანაც, გაზეთში დრო არასოდეს ჩერდება.

ჩემმა პროფესორმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა ნოდარ ტაბიძემ პირად საუბარში თქვა — ისე არ მოვკვდე, სამცხეში ქართული უნივერსიტეტის გახსნას ვერ მოვესწროო. მაშინ ეს აუხდენელი ოცნება იყო ...

ჩვენ რას ვნატრობთ ახლა? — საქართველოს გამთლიანებას! თურმე ცხოვრება დღენიადაგ გვთავაზობს მოულოდნელ რეალობას.

ჩემი სტუდენტობის დროს, დამოუკიდებელ საქართველოზე ვოცნებობდით (დამიჯერეთ, ეს ოცნება უფრო ფანტასტიკის სფეროდან იყო), მაგრამ, აგერ, 29 წელია, რეალობად იქცა.

ჩემი პროფესორის ოცნებაც ახდა.

ჩემი თაობის საუკეთესო ნაწილის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს დამოუკიდებლობას, ჩვენ ისევ ომში ვართ და დამოუკიდებელ ქვეყანაში დემოკრატიისათვის გვიწევს ბრძოლა. ასეა, დიდი მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში მოულოდნელად იდებენ ბინას.

ყოველდღიურობაში თუ შეიძლება იყოს სიმართლე, სწორედ ამ სიმართლეს ვემსახურებით ჩვენს სამშობლოში, რომლის აწმყო, თითქმის სამი ათეული წელია, ერთნაირად გვაფიქრებს წარსულსა და მომავალზე. იქნებ ამ ფიქრმა გადაგვარჩინა ქართველები.

ჟურნალისტიკას ერთი მნიშვნელოვანი სიკეთე აქვს, ძალიან ბევრ კარგ და ნაკლებად კარგ ადამიანთან გიწევს შეხვედრა. ამ ურთიერთობაში ხელშესახებად საცნაურად იკვეთება თვისებათა წყება, რომელიც ძალიან სჭირდება ადამიანს განვითარებისა, თუ გნებავთ, ცხოვრებაში წონასწორობის შესანარჩუნებლად.

უცნაურია, მაგრამ, როგორც ყოველ დღესასწაულზე, თურმე, ასევე საიუბილეო დღეებშიც გზაჯვარედინზე შეჩერებული კაცის განწყობა შეიძლება გაგიჩნდეს, მაგრამ მხოლოდ განწყობა, როგორც სინამდვილის გულით გარჩევის იარაღი და მეტი არაფერი.

მოულოდნელობებით სავსე ყოველდღიურობაში ჩვენი "განთიადის" არსებობა არ ყოფილა მზის სხივებით ნაფერები. და თუ სიმართლეს ვიტყვით, განვლილ გზას რომ გადავხედავთ, ჩვენ თვითონ გვიკვირს, როგორ არ შეწყდა გაზეთის გამოცემა, როგორ მოერგო ახალ რეალობას, როგორ გამოიარა ყველა თავსდატეხილი განსაცდელი... გაზეთი ხომ ცოცხალი ორგანიზმია და, უნდა თუ არა, მაინც სარკესავით ირეკლავს დროს — რომელშიც "ცხოვრობს".

საერთო უშუქობა ყველას კარგად გვახსოვს. ქვეყანა ომში იდგა და შესაძლებლობის ზღვარზე გამომავალი გაზეთი ღამის პირველი საათიდან — დილის შვიდ საათამდე ეწყობოდა.

იმდენი სიხარული თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, რამდენ ალიონსაც შეგებებია სტამბაში რედაქციის კოლექტივი. არასოდეს დავიღლები სტამბა-რედაქციის თავდადების მაგალითის გამეორებით, მით უმეტეს, რომ გაზეთის შექმნისათვის ღამისთევები წლები გრძელდებოდა. განსაკუთრებული მადლობა სტამბის თანამშრომლებს ლინოტიპისტს შოთა რევაზიშვილს, დამკაბადონებლებს ქეთევან თაგვიაშვილს და ვარდიკო გუგულაშვილს. რომ არა მათი მოქალაქეობრივი პოზიცია, რომ არა მათი ერთგულება საქმისადმი, უშუქობის წლებში გაზეთი ვერ დაკაბადონდებოდა — ეს კი ჩვენი რაიონის თანამედროვე ცხოვრების ერთადერთი მემატიანის გაქრობას გამოიწვევდა. სხვათა შორის, თუ გადავხედავთ იმ დროის სტატისტიკას, რაიონულ გაზეთთა უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ალბათ, მათ არ ჰყავდათ ჩვენნაირი ერთგული სტამბელები და გულშემატკივრები. ეს რაც შეეხება სტამბას.

რედაქცია სიმბოლური ანაზღაურების ფასად ღამეებს უთენებდა "განთიადს". პროფესიული ღირსებით, მდგომარეობის ბოლომდე გაც-

*დასასრული გვ.-8.

ჩვენთან ერთად ჩერდებან ლირო

დასასრული. დასწყ-ისი იხ. გვ7

ნობიერებით და უტყუარი კაცადკაცობის კანონის მორჩილი ჟურნალისტები წლების განმავლობაში უამრავ განთიადს შევხვდით ერთად. ყველაზე საგულისხმო კი ის გახლავთ, რომ ეს არც დავალებით ხდებოდა და არც შიშით – ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით და, რა თქმა უნდა, ვაგრძელებდით იმ გზას, ათეული წლების წინ რომ დაიწყეს ჩვენმა წინამორბედმა "განთიადელებმა".

2021 წელს ჩვენს გაზეთს 90 წელი უსრულდება. ერთობ სიმბოლური წელი გვიდგება. სწორედ ასეთ დროს, ალბათ, აუცილებლად უნდა ითქვას მთავარი – ერთგული მკითხველის შემწეობითა და განსწავლული თანარაიონელების წყალობით გამოდის გაზეთი, იქმნება შიდა ქართლის ერთი კუთხის მატიანე.

გაზეთის პირველი ნომერი 1931 წლის 7 ნოემბერს გამოვიდა. დაარსების თარიღიცა და სახელწოდებაც – "კომუნიზმისაკენ" სრულ ინფორმაციას იძლევა იმ დროისა და იმდროინდელი ფასეულობების შესახებ.

პირველი წლის ტირაჟი 2000-ით განისაზღვრა. თურმე, საერთო ხელმძღვანელობას თბილისის გაზეთი – "მუშა" უწევდა, იბეჭდებოდა "კომუნისტის" სტამბაში.

ბუნებრივია, ვერ შევძლებთ ყველა მუშაკის გახსენებას, მით უმეტეს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ათწლეულები სტამბა-რედაქცია თითქმის ერთი საფიქრალით ცხოვრობდა და გაზეთის გამოცემაში ჟურნალისტებზე არანაკლები წვლილი მიუძღვის რამდენიმე სტამბელს... მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულან გაზეთის რედაქტორი ნიკო ჩადუნელი, ბუღალტერი ვანო მეცხვარიშვილი, ასოთამწყობები არტემ ტყემალაძე და არჩილ შალუტაშვილი.

გაზეთს თავიდანვე საუკეთესო რედაქტორები დაებედა: ალ. სილაგაძე, გრ. პაპავა, ნიკოლიზ ჩადუნელი, შალვა შაველაშვილი, ელიზა გულვერდაშვილი-გეგეშიძე, ივანე ბუზალაძე, ტიტე მეგენეიშვილი, ვახტანგ ელისაბედაშვილი, ალექსანდრე ბეჟანიშვილი, გურამ კლდიაშვილი, თამაზ შეშაბერიძე, თემურ ჟღენტი.

2011 წელი, მარტი, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი." გაზეთი "ახალი განთიადი" დაჯილდოვდა დეკნილი მოსახლეობის პრობლემებისა და ცხოვრების გაუუქებაში გამოჩენილი აქტიურობისა და მხარდაჭერისათვის.

გაზეთთან დამოკიდებულება ლაკმუსის ქაღალდივით ააშკარავებდა რამდენად განსწავლული იყო რაიონის ხელმძღვანელი.

ინტელიგენტი და წიგნიერი ხელმძღვანელის ხელში "განთიადის" შუქ-ჩრდილები მეტად მეტყველი იყო. მაგრამ ფაქტია, იყო პირიქითაც, ასეთ რეალობაში "სხვისი მაზიარებელი" გაზეთი თავად რჩებოდა ნორმალური ყოფის გარეშე და უკეთესი დღეების იმედს არ კარგავდა.

ერთხელ, რაიკომში, კონფლიქტური სიტუაცია ირჩეოდა, აი ისეთი, ადამიანური და საზოგადო კანონების ვექტორი რომ არ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს; სიტუაციის ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მშიშარა და ნაკლებგანსწავლულმა (რბილად რომ ვთქვათ!) პირველმა პირმა (მდივანმა) ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. უფრო ზუსტად კი უფროსმა უგულებელყო სიმართლე, რადგან მტყუანი მომჩივანის ეშინოდა. მართალმა ინტელიგენტმა სამსახური დაკარგა და საკუთარი ღირსების გრძნობით განაგრძო ცხოვრება (როგორც ხშირად ხდება). "დაზარალებულ" კოლეგას ვკითხე – ამ ყველაფერს ნუთუ არაფერი ეშველა - მეთქი? გამიღიმა და მშვიდად მიპასუხა: ჟურნალს და გაზეთს თუ არ იციან როგორ მოექცნენ, ეს პირველ რიგში ისევ იმ გამოცემის ბრალია... ბევრს კი თავის დროზე "ტომ სოიერის თავგადასავალი" მაინც რომ წაეკითხა, ჩვენთვისაც კარგი იქნებოდაო... ის კაცი რედაქციიდან წავიდა, მისი წერილები დღემდე ახსოვთ და ხშირად მომისმენია მისი ციტირება. იმ საბედისწერო ხელმძღვანელების სახელი კი მხოლოდ ამ ამბით შეიძლება გაიხსენონ.

ასეა, ძვირფასო მკითხველო, კარგი გამგონის იმედით არსებობს გაზეთი, თუ კარგი მკითხველი არა გყავს, "წერე და იკითხე!"

შინაურ თუ გარეულ მტერ-მოყვარესთან შეჭიდებული გაზეთი აგრძელებს თავის გზას. ეს ჩუმი სამსახური რაღაცნაირად ჰგავს სამშობლოს სიყვარულს. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი – წვეთ-წვეთ რომ იღვრებოდა საუკეთესო შვილების სისხლი, ხომ ყველას გვჯეროდა, რომ უკეთესი დღეები აუცილებლად დადგებოდა.

თქვენ რომ შეგეძლოთ მზის სხივი შემოიტყუოთ თქვენს ოთახში, სახლში, ქალაქში, ქვეყანაში – როგორ მოიქცეოდით? "განთიადელებსაც" ეს აერთიანებთ – ცდილობდნენ, ვცდილობთ, ეცდებიან, სინათლე და მზის სხივი არ მოაკლონ "განთიადს", რომელიც ყოველცისმარე ახალია. განახლება კი სიცოცხლის აუცილებელი პირობა გახლავთ.

ჟურნალ-გაზეთები ითვალისწინებენ მზა რეცეპტებს, მაგრამ ნაკლებად სჯერათ მათი. ჩვენი გაზეთი მხოლოდ საკუთარ მკითხველთან ერთად, გზადაგზა, გაიზარდა...

ფაქტია, მიუხედავად დროისა და სივრცის შემოთავაზებული მრავალი საცდურისა, ჩვენს გაზეთს "სიყვითლე" არ შეჰპარვია (ღმერთმა დაგვიფარა!) და არც მდარე გემოვნებისათვის თუ უნიჭობისთვის "გვიგორებია კოჭი". ყოველთვის გვჯეროდა – გამგები გაიგებს! ... და დღემდე კარგი გამგონის მარადიულ მაძიებლად ვრჩებით.

ნანა მერებაშვილი.

ციკლიდან: **დოკუმენტური პროზა**

„რაც ლაჯებით ვერ იბრძოლებ,,

ათვლის წერტილი*

იმ წელს, ქართლში, ძოწისფერი მოიყოლა ენკენისთვემ. მტკვრის ხეობაში მოხეთქილმა ზენა ქარმა, ერთობ დიდი შვება მოჰგვარა აგვისტოს ხვატით გათანგულ დაბასა თუ სოფლებს.

კართან მისი უდიდებულესობა შემოდგომა იდგა.

კასპში, რაიკომის მდივნის კაბინეტში, გვიანობამდე ენთო სინათლე. მაგიდასთან თავდახრილ საღარაძეს ხვალინდელი თათბირის დღის წესრიგი ედო და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. მოულოდნელად, ოთახში, ცემენტის ქარხნის დირექტორი, ალექსანდრე ქებაძე შემოვიდა და გაოცებულ მდივანს, მისალმებისთანავე, გვიან სტუმრობის მიზეზი აუხსნა:

- ქარხანაში შეფერხება მაქვს და, თქვენს კაბინეტში სინათლე რომ დავინახე, ვიფიქრე, იქნებ...

- მოდი, მოდი, იფიქრე, დამეხმარებაო, არა? - სიტყვა შეაწყვეტინა საღარაძემ, ფეხზე წამოუდგა ქებაძეს და სკამი შესთავაზა.

თბილი დახვედრით კმაყოფილმა სტუმარმა, უბის წიგნაკი ამოიღო და ის იყო, ციფრების ენით უნდა აეხსნა, თუ რა რაოდენობის კლინკერი დააკლეს მომწოდებლებმა, რომ მდივანმა შეაჩერა:

- გასაგებია, ალექსანდრე, ყველაფერს მივხედავთ, ახლა კი, თქვენი თანადგომა ძალიან მჭირდება.

ქებაძემ უბის წიგნაკი დახურა და მდივანს მიაჩერდა.

- რას იტყვით, ადგილობრივი გაზეთი რომ გამოვუშვათ, ვერ შეეძლებთ?

- რატომაც არა, - სახეზე ღიმილმა გადაურბინა ქებაძეს, - აქამდეც რომ გვქონოდა, უფრო მეტი საქმე გაკეთდებოდა.

- მარტო გაზეთი კი არა, - საღარაძემ მაგიდიდან ფურცელი აიღო და ქებაძეს წინ დაუდო, - პედაგოგიური სასწავლებლის გახსნაც გვინდა და ამ დადგენილებების პროექტებს გაეცანი.

პროექტები მართლაც, შთამბეჭდავი იყო.

მეორე დღეს, რაიკომში, თათბირი დათქმულ დროზე დაიწყო და ოქმიც მეტად ლაკონურად დაიწერა.

თათბირზე დადგენილება კი მიიღეს, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა. და აი, კვლავ დაიწერა ოქმი 16 კპ (ბ) კასპის რაიკომში მოწვეული თათბირისა, შემდგარი 1931 წლის 1 ოქტომბერს. დაესწრნენ ამხ. საღარაძე, დიასამიძე, ძამაშვილი, ელიაშვილი, ჯანჯალაშვილი, გალდავა, გიგიტაშვილი, ხუხუა, ბეგიაშვილი, ხიტირია, ჩახვარია, მაჭავარიანი, ბერბერაშვილი, ქებაძე, ხოხაძე, ლაზარაშვილი და მელაძე.

თათბირზე მოხსენებით კასპის რაიონში ნაბეჭდი გაზეთის გამოშვების შესახებ გამოვიდა საღარაძე.

სამწუხაროდ, ეს მშრალი ოქმი არაფერს გვეუბნება, თუ რა თქვეს მოხსენების ირგვლივ გამართული კამათის მონაწილეებმა, მაგრამ, საკითხი მოიწონეს და დაადგინეს: გამოიყოს სარედაქციო კოლეგია ამხ. საღარაძის, ძამაშვილის, ხუხუას, ქარქაშაძის, გიგიტაშვილის, ბეგიაშვილის, ბერბერაშვილის, მაჭავარიანის და დიასამიძის შემადგენლობით. პასუხისმგებელ მდივნად დროებით

გამოიყოს ამხ. დიასამიძე. ნაბეჭდი გაზეთის გამოშვება პირველ რიგში განისაზღვროს დეკადურად, თვეში სამჯერ.

თანხების გამონახვა გაზეთისთვის და სახელწოდების საკითხი დაამუშაოს რედკოლეგიამ...

შემოდგომა გულუხვად იბერტყავდა კალთებს. ახლად დაარსებულ კოლმეურნეობებში მოსავალს აბინავებდნენ, იკრიფებოდა ხილი და ყურძენი, იღებდნენ სიმინდსა და ბოსტნეულს, პირუტყვისათვის ამარაგებდნენ საკვებს...

რაიკომის მდივნის კაბინეტში მიმსვლელ - მომსვლელი არ ილეოდა. საღარაძემ, იმ დღესაც, ბოლო მოქალაქე გაისტუმრა, ადგა, ფანჯარასთან მივიდა, სარკმელი გააღო და გარეთ გაიხედა, არ ესიამოვნა მოუწესრიგებელი, ატალახებული ქუჩა...

- ეს ცენტრალური გზაც მისახედია, სოფლის ორღობეს ჰგავს, - გაიფიქრა და მაგიდასთან დაბრუნდა. ის იყო თანაშემწე გამოიძახა, დავალების მისაცემად, რომ კარი გაიღო და ოთახში სამთავისელი მიხა თექთუმანიძე შემოვიდა.

- ოო, ამას ვის ვხედავ, აბა, კომუნარო, დაჯექი, რამ შეგაწუხა, - სულის მოთქმა არ აცალა საღარაძემ.

- აღარა ვარ კომუნარი, ამხანაგო მდივანო, ჩვეულებრივი კოლმეურნე ვარ, კომუნა შარშან, 16 იანვარს, ჩვენივე სურვილით გავაუქმეთ, როგორც ნაადრევი და არა ეფექტური, - მიხამ ხელი ჩამოართვა მდივანს და შემოთავაზებულ სკამზე დაჯდა.

- კი, კი, ვიცი, მაგრამ, ისტორიაში მაინც შეხვალ, როგორც სამთავისის კომუნის ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი.

- ეგ წარსულში დარჩა, სხვა ამოცანა გვაქვს, კომუნიზმისკენ მივდივართ და დიდი გარჯა გველის, - მიხამ გაბადრული სახე შეანათა მდივანს.

- რაო, რა თქვი? კომუნიზმისკენ არა?! - საღარაძემ, კაბინეტში შემოსულ თანაშემწეს, დიასამიძის გამოძახება დაავალა, ამასთან, 19 ოქტომბრის ბიუროც შეახსენა და გააფრთხილა, რომ რაიკომის წევრებიც მოეწვია, მერე თექთუმანიძეს მიუბრუნდა:

- კარგია, რომ მოხვედი, შენ, ახლა, გაზეთის სახელწოდება მომაწოდე, ამაგს დაგიფასებ. კომუნიზმისკენ, არა? დიახ, კომუნიზმისაკენ, ასე ერქმევა გაზეთს. - ჩაიდუდუნა გამხიარულებულმა მდივანმა და მაგიდის კალენდარზე ჩანაწერი გააკეთა.

საღარაძემ, იმ დღეს, გულდასმით მოუსმინა თექთუმანიძეს, პირადი საკითხების მოგვარებას დაჰპირდა და როგორც რაიკომის წევრი, 19 ოქტომბრის ბიუროს სხდომაზეც მიიწვია.

მზიანი ღვინობისთვე, წვიმიანმა ამინდებმა შეცვალა. ქსილისზე ჩაწოლილმა ღრუბლებმა, მოახლოებული ზამთრის სუნთქვა მოიყოლა და ბაღ-ვენახებში დარჩენილი მოსავლის აღება დააჩქარა.

მთელი დღე წვიმდა 19 ოქტომბერსაც. რაიკომის მდივნის კაბინეტში ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, ერთნაირი ყურადღებით უსმენდნენ საღარაძეს ბიუროს წევრები და

მოწვეული სტუმრები. იგი მომავალი რაიონული გაზეთის სახელწოდებაზე მსჯელობდა და თავის მოსაზრებას უზიარებდა, რომ მას "კომუნიზმისაკენ" ერქმეოდა და თუ ვინმეს უკეთესი მოსაზრება ჰქონდა, შეეძლოთ გულახდილად ეთქვათ.

სხვა აზრი არავის

ჰქონდა, მდივანს ყველა დაეთანხმა და დღის წესრიგიც აქვე ჩამოყალიბდა: რაიონული ბეჭდ-

ვითი გაზეთის "კომუნიზმისაკენ" ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

დადგენილება მიიღეს და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცეს. დასახეს ღონისძიებანი: გაზეთების გავრცელების შესახებ კოლექტიური ხელისმოწერის შესახებ, წინადადება მისცეს ამხ. მაღალაშვილს დაუყოვნებლივ შეუდგეს ორგმასის განყოფილების გამგის სამუშაოს რაიონული გაზეთის რედაქციაში...

ასე მოინათლა მომავალი რაიონული გაზეთი ამ ოდიოზური, არახატოვანი სახელწოდებით, თუმცა, გასაკვირი არაფერია, იმ წლების იდეოლოგიური ხიბლით დაავადებული ქვეყნის მცხოვრებთათვის, რამეთუ, სწამდათ და სჯეროდათ, რომ კომუნიზმს უთუოდ ააშენებდნენ...

ნეტარ არიან მორწმუნენი...

... დაჩქარდა გაზეთის გამოშვების სამზადისი. ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული იყო: გამოვიდოდა 10 დღეში ერთხელ, "პრავდის" ნახევარი ფორმატის, ოთხგვერდიანი, 3 000 - იანი ტირაჟით. დახმარებისათვის მიმართეს გაზეთ "კომუნისტი"-ს სტამბას და "მუშის" რედაქციას. დახმარებამაც არ დააყოვნა და აი, 1931 წლის 7 ნოემბერს, "კომუნისტის" სტამბის საბეჭდი დაზგიდან გადმოვიდა კასპის რაიონული გაზეთ "კომუნიზმისაკენ"-ის პირველი ნომერი, რომელსაც ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა.

ეს დღე, დასაბამად იქცა ამ პატარა, მაგრამ, დიდ საქმეებს შეჭიდებული ჩვენი გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაში.

ნორა ედიშერაშვილი.

გაგრძელება იქნება.

გვხლით ჩვენი მეითხვილი!

წლის ტურნირი

საქართველოს ჩემპიონატი — კასპში!

ორდღიანი ტურნირი, რომლის თაობაზე ქვემოთ მოგითხრობთ, სპორტული წლის კალენდარული გრაფიკით პირველი იყო და შუა თებერვალში ჩატარდა. მალე როგორც გაირკვა, იგი უკანასკნელიც აღმოჩნდა, მარტიდან ხომ "კოვიდ - 19"-ის საწინააღმდეგო ღონისძიებების შეზღუდვები დაწესდა სპორტშიც.

... კასპის მთავარ სასპორტო დარბაზში (უმთავრესად კალათბურთის სათამაშოდ რომ არის გათვლილი) საქართველოს ჭაბუკმა ძიუდოისტებმა გაარკვიეს ჩემპიონ-პრიზიორთა და მათი ვინაობაც, ვინც უმედლოთა და უპრიზოდ დაგვირჩა. მასპინძელთა მხარემ ყოველგვარი ღონე იხმარა ჩემპიონატის სათანადო დონეზე ჩასატარებლად, ცალკე უნდა გავიხსენოთ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი — გიორგი ათაბეგაშვილი. სხვათა შორის, იგი ახლახან, ნოემბრის დასაწყისში ხელახალი ვადით აირჩიეს პოსტზე) საორგანიზაციო კომიტეტის გარჯილობა და შეჯიბრების კომისრის, მერაბ ლოსეურაშვილის თავკაცობით სამსაჯო ბრიგადის კვალიფიციურობა. ამიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და ფედერაციის ხელმძღვანელობის სახელით მზადყოფნა გამოხატა შემდგომი ორმხრივი ურთიერთობებისათვის, მაგრამ... ცხადია, მათ შორის საქმიანი თანამშრომლობის განახლებამდე, გარკვეული დროით მოცდა მოგვიწევს, ისევ პანდემვითარებიდან გამომდინარე.

"კასპის გრანდ შლემი!" — აი, ასე შეფასდა წლევანდელი თებერვლის კასპური ჩემპიონატი მისი მონაწილეებისა და სტუმრების მხრიდან.

წლის ჯილდოები

ჩემპიონებიც, პრიზიორებიც ...

იანვარში — არაფერი, ზამთრის კვალობაზე სპორტული სეზონი "ტაიმაუტის" რეჟიმში იყო ისევ, აი, თებერვლიდან კი ერთმანეთს წაება საქართველოს ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეში და ყველა ასაკობრივ კატეგორიაში.

*დასასრული გვ11.

ვაჟა-ფშაველა

გიორგი სააკაძის სურათზე

ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენი ქვეყნისა — საქართველოსი
რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება.
თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება?
ცრემლები მაღრჩობს, ვერარას ვამბობ,
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ვეღარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება.
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!

წმინდა გიორგის სეხნიავ
რისხვა ხარ თათრის რჯულისა,
ჩვენს მხსნელად მოვლინებული,
გამხარე საწყალ გულისა!
გაკავდი ჩვენო გმირთ გმირო,
მთას გულში ჰყავხარ ხატადო,
ღალა შენა ხარ, ცხონი კი
არ ღირან ჩალის ფასადო!
უებარი ხარ ბრძოლაში
ყველგან გამტანი ლელოსი,
მინდიამც დაგენაცვლების, -
გმირი ხარ საქართველოსი!

მირზა გელოვანი

აქ შეეჯახა სააკაძეს არაგვის ლომი,
აქ შეეჭიდნენ მეამბოხე და გენიოსი
...
ასე ებრძოდა ანტონიოსს ოქტავიოსი
...
თუმცა ორივეს, ო,
ორივეს უყვარდა რომი.
აქ მოდიოდა ჩუმი ოხვრით
დიდი ქართველი
და ბაზალეთის ტალღებიდან ნათელს
ელოდა
და შორს, ძლიერ შორს
სჩანდა ნათელი
მომავალ დღეთა სადღეგრძელოთა.

1937 წელი, თბილისი.

"ესე მოურავი ...”

"ესე მოურავი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში”

ვახუშტი ბაგრატიონი

"ქართველთა ჯარის სარდალი, არაჩვეულებრივად ძლიერი და ყველაზე უფრო მტკიცე კაცი. მრავალ ომში სახელგანთქმული დიდი მოურავი გიორგი სააკაძე”

დონ კრისტოფორო დე კასტელი.

"გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებქვეშ სამსახური. მას წილად ხვდა მწარე ლუკმა ლტოლვილისა ... შურმა და მტრობამ განდევნა იგი სამშობლოდან. მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია თავისი გულიდან სამშობლოს სიყვარული. ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას... არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ვალი და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა”

პიეტრო დელა ვალე, იტალიელი მისიონერი.

ცვოჯვხო ვრბოიებში თუ ინვხვვთ ცვვყვძიც ძეგლიც გვხცნიც ვმცვხვეერ ცვიმეერრიცო ცოერვთებს, გთხოვთ მოგვწოლოთ ,,განთიადიც,, ფოდო-მვდიანიში!

წლის სპორტსმენი

მოჭიდავე ჯაბა პაპინაშვილი

ასეთად, ნამდვილად, უნდა მივიჩნიოთ 22 წლის ჯაბა პაპინაშვილი, რომელმაც ევროპის 23-წლამდელთა პირველობაზე ბრინჯაოს მედალი ირგუნა.

სანამ უშუალოდ ამ წარმატებაზე ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ ჯაბა ჭიდაობა ძიუდოში საქართველოს 2018 წლის ვიცეჩემპიონი და 2019 წლის ჩემპიონია (შარშანდელი პირველობის ფინალში მისი მეტოქე გახლდათ, არც მეტი და არც ნაკლები, 10 წლით უფროსი ძმა – ამირანი). მან 2020 წლის პირველივე შეჯიბრებაში ურიგოდ არ იჭიდავა გერმანიაში, ქ. დიუსელდორფის "დიდი მუზარადის" პრიზზე, სადაც საქართველოს ნაკრების 60 კგ-მდე კატეგორიის წარმომადგენელმა სასტარტო დაჭიდებაში ავსტრალიელ მეტოქეს ორი ვაზარით მოუგო, მომდევნოში კი ნამდვილი ორთაბრძოლა გაუმართა მსოფლიოს 2019 წლის პირველობის ფინალისტს, უზბეკ შარაფუდინ ლუტფალიევს.

ერთ მომენტში ჯაბამ იგი დააგდო კიდეც ტატამზე და ილეთი იპონად შეუფასეს, მაგრამ მერე შეუცვალეს ვაზარად, საბოლოოდ, ჩვენებური მასთან დამატებით დროში დამარცხდა. ასე იყო თუ ისე, მან წლის დასაწყისში გვიჩვენა, რომ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და მზად იყო წლის დანარჩენი შეჯიბრებებისთვისაც...

და, აი, რა მოხდა წლევანდელ 8 ნოემბერს ხორვატიის ქ. პორეცში: ნაკრების მწვრთნელებმა საწყის წონაში ჯაბასთან ერთად გამოსცადეს ლიდერობის მეორე პრეტენდენტიც – ხაშურელი თემურ ნოზაძე.

ორივემ წარმატებით იჭიდავა, ჯაბამ მე-3 ადგილი დაიკავა, თემურმა – მე-2. ჩვენებურმა ნახევარფინალურ შეხვედრაში რუს მეტოქეს, მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს კონსტანტინ სიმეონიდისს ვაზარი კი აართვა, მაგრამ მას ასეთი შეფასება ორი აღმოაჩნდა (სხვათა შორის, ამ რუსმა ფინალურ დაპირისპირებაში ნოზაძეც დაამარცხა). აი, ბრინჯაოს მედლისათვის კი იტალიელ ალექსანდრე არამუს დაუპირისპირდა, იპონით დაჯაბნა და ქართველთა ჯილდოების სათვალავს დაუდო სათავე.

საქმე ისაა, რომ რუმინული საკურორტო ქალაქიდან ქართველმა ბიჭებმა 8 მედალი წამოიღეს, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სულაც პირველები გახდნენ ევროპაში.

დიახ, ჯაბა პაპინაშვილს 2020 წლის ევროპული ბრინჯაოს მედალი უნდა მივულოცოთ. ვფიქრობთ, მას "ოქროს" მირთმევა სურდა წლევანდელ ზაფხულში ახალშერთული მეუღლისათვის, მაგრამ სინჯი უთუოდ გაკეთილშობილდება ახლო მომავალში.

წლის ჯილდოები

ჩემპიონებიც, პრიზიორებიც ...

**დასასრული. დასაწყისი იხ გვ 10.*

პირველი მედალი, რომელიც კასპელმა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა თბილისურ ჩემპიონატში (5 თებერვალი), მოდის დოესელი გოგონას, ეკა რაზმაძის წილად (მწვრთნელი – საერთაშორისო სპორტის ოსტატი ჯემალ ხორბალაძე). მან მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი წამოიღო კასპში.

ახლა ჩემპიონების ჯერია: ასეთი ერთბაშად 4 სპორტსმენი გაგვიხდა ისევ თებერვალში და ისევ თბილისში, სადაც 23 თებერვალს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 19-წლამდელებს შორის ძალისმიერ სამჭიდში. კასპის ათლეტკლუბის (მწვრთნელი – გია მერებაშვილი) წოლჭიმში იასპარეზეს და კვლავ დაადასტურეს თავიანთი მკლავშესაძლებლობანი. საქმე ისაა, რომ კასპელთა გუნდში 6 სპორტსმენი იყო და ყველა შევიდა საუკეთესოთა სამეულში.

ჩემპიონები: ლუკა ორბელაშვილი, გიორგი კრუპნოვი, ლუკა მერებაშვილი და ნოდარ მამულაშვილი (შესაბამისად, 59, 66, 83 და 120 კგ.); მე-2 შედეგი უჩვენა სოსო ბერიაშვილმა, ხოლო მე-3 – გიორგი ორბელაშვილმა.

და, კიდევ, თებერვლის ბოლო დღეს ქ. ახმეტაში გამართული ჭაბუკთა პირველობიდან ქართულ ჭიდაობაში მესამეპრიზიორებად დაგვიბრუნდნენ სოლომონ მერებაშვილი და აკო ხიზანბარელი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

მიწურული 2020 წლის სპორტული თვალსაზრისით შეჯამება უკვე შეიძლება, მაგრამ გამარჯვებათა და წარმატებათა მხრივ იგი ერთობ მწირი და ღარიბია ადრინდელ წლებთან შედარებით. ამის მიზეზი ერთია: საყოველთაო პანდემიურმა ვითარებამ ჩაშალა სპორტული სეზონი. წლის დასაწყისში, იანვარ-თებერვალში, კი მოესწრო რამდენიმე შიდასაქვეყნო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში, მაგრამ ეს იყო და ეს, მარტიდან ყველაფერი გაჩერდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონის მასშტაბით. ამდენად, შესაჯამებელიც არაფერი გვრჩება. და, მაინც, ვცადოთ!

წლის გუნდი

საფეხბურთო კლუბი „გენერალი„

კასპის საფეხბურთო კლუბი "გენერალი" ხუთიოდე წლის წინ შეიქმნა და სახელი დაირქვა ცნობილი ქართველი გენერლის – გიორგი მაზნიაშვილის ხსოვნის საპატივსაცემოდ. გასულ წლებში მან არაერთხელ მოიპოვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ჩემპიონობა მინიფეხბურთში, კარგი თამაშით გამოირჩა საქართველოს მასშტაბით ფუტსალის (დარბაზის ფეხბურთის) "ბიზნესლიგის" ჯგუფურ და საპლეიოფო შეჯიბრებებშიც.

და, აი, წლევანდელი აღიარება (ფეხბურთში 7X7-ზე):

"გენერალი" მოთამაშეთა გამოცდილებისა და ოსტატობის გათვალისწინებით, ფავორიტის სტატუსით ჩაერთო სექტემბრის დასაწყისში მუნიციპალურ პირველობაში, რომელიც საქართველოს "მასტერლიგის" ასოციაციის (პრეზიდენტი – აკაკი ხლაბუსტოვი) ეგიდით გაიმართა.

ფავორიტმა გუნდმა საკუთარი გულშემატკივრების მოლოდინი გაამართლა: ოქტომბრის ბოლოს მან მუნიციპალური ჩემპიონობა მოიპოვა (ამის თაობაზე "ახალი განთიადის" წინა ნომერში ვიუწყებოდით)! გამარჯვება იზეიმა და... ვარჯიში ისევ გააგრძელა, რადგანაც გათამაშების უფრო საპასუხისმგებლო ეტაპი წინ იყო – რეგიონული პირველობა.

13 ნოემბერს ქ. კასპის საფეხბურთო სტადიონზე შიდა ქართლის მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გუნდები შეიკრიბნენ: კასპის "გენერალი", გორის "მგლები", ხაშურის "გალაქტიკო" და ქარელის "ავლევი".

კენჭისყრის შედეგად მეტოქეები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: კასპი – ქარელი და გორი – ხაშური.

ორივე დაპირისპირებაში თითქმის ერთნაირი ანგარიში დაფიქსირდა: კასპელებმა ქარელელებს 5:1-ზე სძლიეს (გოლები გაიტანეს: ტარიელ ღვინიაშვილმა, თორნიკე თაგვიაშვილმა, ლუკა კეკოშვილმა, ბექა დაბრუნდაშვილმა და ვალერი ზანგურმა), ხოლო ხაშურელებმა გორელები დაჯაბნეს 6:2-ზე.

ამის შემდეგ მარცხწვნეულმა გუნდებმა გაარკვიეს მესამეადგილოსანი გუნდის ვინაობა: აქ ანგარიში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა, ჯერ გორელები დაწინაურდნენ სამი ბურთით, მერე ქარელელებმა არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ დაწინაურდნენ კიდეც, თამაშის მიწურულს (ტაიმების ხანგრძლივობა 20-20 წუთი) ისევ გორელებმა იყოჩაღეს და, ბოლოს, სასწორის პინა მათკენ აღმოჩნდა – 7:6.

ფინალურ შეხვედრაში ორივე მეტოქემ დაადასტურა, რომ ღირსეულები იყვნენ, მაგრამ მთელი თამაში ისე წარიმართა, ანგარიშის გახსნას ვერც ერთი მხარე ახერხებდა...

და, აი, თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე კასპელმა ნიკა ბურდულმა "გამარჯვების გოლი" გაიტანა ხაშურელთა კარში, 1:0 – მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს კასპელებმა და მოიპოვეს შიდა ქართლის მხარის 2020 წლის ჩემპიონი გუნდის წოდება.

ესოდენი გამარჯვების წილად "გენერალმა" დაისაკუთრა ჩემპიონის დიდი თასი, ფულადი ჯილდო (1000-ლარიანი ვაუჩერი), ხოლო მისმა ორმა მოთამაშემ ირგუნა სპეციალური პრიზები: ფინალური ეტაპის ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა – გუნდის კაპიტანმა ბექა დაბრუნდაშვილმა, ხოლო საუკეთესო მოთამაშისა – "გენერლის" კარის დარაჯმა დავით პარკაძემ.

რუბრიკა - „წელიწადის მეხუთე დრო„ ელოდება თქვენს გამოხმაურებას. გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გავაცნოთ ისინი საზოგადოებას.

„ახალი განთიადი„ იძიებს ცალიერიცა ცოცხალთაებს რეალობაც ცვგეზეთი ფოტო-მასალაც შეცვლილ. თხოვნით მივმართავთ თანხრეალობელებს - დასტოვეთ თქვენი ყველა ხვენს მასალაში!

გამოცმაურება

ამბავი პანთეონისა...

ქართველი ერი ყველასაგან გამორჩეულია მიცვალებულთა ხსოვნისადმი სენსიტიური დამოკიდებულებით. ამის ნათელი დასტურია საგულდაგულოდ მოვლილი საფლავები, პანთეონები.

საჭიროა თუ არა კასპში პანთეონი?

ვფიქრობ, რომ საჭიროცაა და აუცილებელიც!

წლების მანძილზე ადგილიც რამდენჯერმე "შევარჩიე" და პროექტის ჩემეული ვარიანტიც კი მაქვს, თუ კომისია დაინტერესდება... დიდ პატივად ჩავთვლი საორგანიზაციო საკითხებზე მომუშავე კომისიის წევრობას.

ადგილობრივ დონეზე პანთეონის "კანდიდატთა" კრიტერიუმად უნდა დადგინდეს ის, თუ რით იყო გამორჩეული ლოკაცია – კასპის რაიონში დაბადებული პიროვნება: გამოგონება, ქველმოქმედება, განათლება, მოღვაწეობის განსხვავებული სფერო და იქ თვალსაჩინო მიღწევა, რითაც დიდი სარგებელი მოუტანა ფართო მასებს, აგრეთვე მიღწევა ხელოვნების, სპორტის, პედაგოგიურ ასპარეზზე, პროფესია – ნებისმიერი! მთავარია ღირსება, მოღვაწეობის მასშტაბი, დონე! დავიმახსოვროთ, კავშირი გულთა შორის დროსა და სივრცეს არ ემორჩილება!

პირველი სამეული? ა) მასწავლებელთა მასწავლებელი და ყოფილ მოსწავლეთა ბევრი თაობის კუმირი – ქალბატონი ანა ეძგვერაძე; ბ) მწერალი გიორგი ხორგუაშვილი (ამ იდეის აქტიური მხარდამჭერიც იყო და ერთ-ერთი ინიციატორიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს), გ) ქართული ხალხური მუსიკის თავდადებული მსახური და სიბერეშიც დიდი ბავშვი, სიცოცხლეში დაუფასებელი – ქოროღლი კაციაშვილი (ქორო)...

პანთეონში დაკრძალვაზე თანხმობას გასცემს გადაწყვეტილების დამდგენი კომისია – რაიონის ხელმძღვანელი უფლებამოსილი და საზოგადოების კომპეტენტურ წარმომადგენელთა ერთობლივი მუშა ჯგუფი.

იქნებ დროა (თუ ძალიან დაგვიანებულიც არა), საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრას. იფიქრეთ, ბატონებო, რომ შთამომავლობას ხინჯად არ შემორჩეს ირონიული ფრთიანი გამოთქმა – "ერთხელ დაიბადო და ისიც კასპში?"

თ. კასპელი.

ისტორიული ქრონიკები

პირბადეები ესპანური გრიპის წინააღმდეგ, პარიზი, 1918

ქართული ანბანის რაინდი

გარდაიცვალა რამაზ პატარიძე, ქართველი ენათმეცნიერი, მკვლევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დამწერლობათმცოდნე, ანბანთმცოდნე, ქართული ანბანის რაინდი; პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის მიქელ პატარიძის შვილი.

რამაზ პატარიძემ 1950 წელს დაამთავრა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

მუშაობდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი), ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში. იყო პავლე ინგოროყვას მოსწავლე. 64 წლის განმავლობაში იკვლევდა ქართული ანბანის საკითხებს.

1980 წელს საბავშვო გამომცემლობა "ნაკადულმა" გამოსცა მისი წიგნი "ქართული ასომთავრული", წიგნმა საბჭოთა ცენზურის გვერდის ავლა მარტივად მოახერხა, ვინაიდან ის საბავშვო გამომცემლობამ გამოსცა.

ამის შედეგად წიგნების გავრცელება შეიზღუდა, გამომცემლობა "ნაკადულის" დირექტორი არჩილ სულაკაური თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო წიგნის ავტორი რამაზ პატარიძე პრაქტიკულად ჩამოშორდა სამეცნიერო საქმიანობას.

2018 წელს "პალიტრის" მიერ გამოცემული ქართული ასომთავრულის განახლებული ვერსიის მიხედვით ნებისმიერი მკითხველი ადვილად გაიგებს, თუ რას ნიშნავს ზოგადად ანბანი კაცობრიობისათვის, მის მოკლე ისტორიას და იმასაც, თუ რა არის მსოფლიოში არსებულ ანბანებთან შედარებით ქართული ასომთავრულის განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა და უნიკალურობა.

რამაზ პატარიძემ გაშიფრა "ვეფხისტყაოსნის" პროლოგი და აღმოაჩინა, რომ კაცობრიობის ისტორიაში შოთა რუსთაველი არის პირველი ადამიანი, რომელმაც ვეფხისტყაოსანში წარმოგვიდგინა პლანეტების ჰელიოცენტრული სისტემა. მეცნიერმა მთელი შეგნებული სიცოცხლე ქართული დამწერლობის ისტორიის კვლევას მიუძღვნა და საბოლოოდ დაამტკიცა სომხური წერილობითი წყაროების სიცრუე.

1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაციის თემა: ქართული ფილიგრანოლოგიის ძირითადი საკითხები.

ისტორიული პარადიგმები

თანამოქალაქე

ლაშარის წმინდა გიორგი

დასასრული. დასაწყისი იხ. გვნ.

ნოვებს მუდმივი განცხრომისა და სინორჩის მდგომარეობას, ბრუნდება საკუთარ მიწაზე, რათა იქ ერთბაშად დაბერდეს და მიიცვალოს. ასეთ მისტიკურ დამოკიდებულებას, ალბათ, მიწასთან ნივთიერი კავშირიც განაპირობებს.

საგულისხმოა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ტომთა უმეტესობა მიწის დამამუშავებელნი იყვნენ. ამან განაპირობა ქვეყნის ძველი სახელწოდებაც – გეორგია. ეს ბერძნულენოვანი ტოპონიმი სწორედ მიწის აღმნიშვნელი სიტყვის გამომხატველია.

წარსულისა და მიწის გარდა, ქართული ეთნოფსიქიკისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფეტიში წინაპრები და მათი ხსოვნაა. XXI საუკუნეშიც კი ეს დამოკიდებულება ლამის პატრიარქალურია. ჩანს ეს უძველესი, გენეტიკურად განმტკიცებული თვისებაა, რადგან ჯერ კიდევ წარმართობის ჟამს ქართველები წინაპრებს აკერპებდნენ. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქართლის გამაერთიანებელი მეფე ფარნავაზი სწორედ წარმართული პანთეონის მრისხანე ღვთაების – არმაზის წინასახეა, ღვთაებისა, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდნენ ქართველები. ამგვარი მითოსური დამოკიდებულების ჩანაცვლება ქრისტიანულ მენტალიტეტში წმინდანთა თაყვანისცემით მოხდა. ქრისტიანული და ეროვნული ღვაწლისაკენ მიმართული ხასიათი მრავალ წმინდანს აღიარებს. მაგალითად, "ოქროს ხანის" საქართველოს მეფეთ - მეფე თამარი ისეთი ბრწყინვალე შარავანდედითაა მოცული ჩვენს ცნობიერებაში, რომ ლამის რეალური პიროვნება აღარ გვგონია. იგივე შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთაველზე... თუმცა, არაწმინდანი წინაპრების, ხალხური გმირების გაფეტიშების მაგალითებიც არსებობს. ეს უფრო მთიან მხარეებშია შემორჩენილი. მაგალითად, ფშავში არსებობს სალოცავი, რომელსაც ლაშარის წმინდა გიორგის, იგივე ლაშარის ჯვარს ეძახიან. ფშავლებს გამორჩეულად ჰყვარებიათ ახალგაზრდა, თავისუფლად მოაზროვნე, ტრაგიკული ბედის, ლამის ჭაბუკობაში გარდაცვლილი მეფე ლაშა-გიორგი, ძე მეფედ მეფისა თამარისი, რომელმაც XII საუკუნის დიდი და ძლიერი საქართველო ჩაიბარა. ქრისტიანულ სალოცავში უცნაურადაა შერწყმული წმინდა გიორგისა და არაწმინდანი მეფის სათაყვანო და საყვარელი სახეები და ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ იკვრება ქართულ ეთნოფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრიადა: წარსული, მიწა, წინაპრები.

2021 წელი

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ორშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
სამშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
ოთხშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
ხუთშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25
პარასკევი	3 10 17 24 31	7 14 21 28	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
შაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
კვირა	5 12 19 26	2 9 16 23	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
სამშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
ოთხშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
ხუთშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31
პარასკევი	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
შაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
კვირა	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27

შევსებული კითხვარი ამოჭრითა და გამოგვიგზავნეთ რედაქციაში

ხვეხეოწოი

"ახალი განთიადი" გთავაზობთ ცრუდიციულ კითხვარს. გაგვიზიარეთ თქვენი აზრი, გამოვავლინოთ გამორჩეული ჰრიფესიონალები, შევქმნათ ჩვენი ლტეების რეალური სურათი. გამარჯვებული ნომინაციები დაჯილდოვდებიან.

ჩემი აზრით 2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში იყო ----------

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჯასპის ცხოვრებაში იყო ----------

რაიონის ხელმძღვანელი, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯვალი დატოვა, იყო ----------

ჯასპელების ყველაზე საყვარელი ექიმია ----------

ჩემი საყვარელი მასწავლებელია ----------

საბავშვო ბაღში ჩემი საყვარელი აღმზრდელი იყო ----------

2020 წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენია ----------

ჩვენი ქალაქის ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონია ----------

ჩემი აზრით ჯასპის ჯოლორიტია ----------

მომავალ წელს მინდა ჩემს ქალაქში (სოფელში) გაჯეთდეს ----------

2020 წელს ჩემს ოჯახში ყველაზე პოპულარული სადილი იყო ----------

2021 წელს ყველაზე მეტად გამახარებდა ----------

2021 წელს მინდა შევხვდე ----------

ჩემი ნება რომ იყოს ყოველ დღესასწაულზე ----------

მე რომ ჯასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ვიყო ----

გვარი, სახელი (სურვილის შემთხვევაში მეტსახელი) -

შევსებული კითხვარი 2021 წლის 21 ივნვრის ჩათვლით მოგვწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ჯასპი, სააკაძის ქ. 68.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ	გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში	რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.	რედაქტორი ნანა მერებაშვილი რედაქციის მისამართი: 2600 ქ ჯასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76